საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	,,ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის / სომხურენოვანთათვის“
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას.
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	60 ECTS კრედიტი
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ ერთწლიანი კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებს საკმარისად ჰქონდეთ განვითარებული ენობრივი და საკომუნიკაციო უნარები უმაღლეს სასწავლებელში ლექციების ქართულ ენაზე მოსასმენად, გასაგებად და კომუნიკაციის დასამყარებლად. **პროგრამის მიზანია** ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, იმგვარი ცოდნა, რომ სტუდენტმა შეძლოს სხვადასხვა დანიშნულების ზეპირი თუ წერილობითი ტექსტების შექმნა; აუდიტორიის წინაშე ზეპირი გამოსვლა თუ პრეზენტაცია; ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება.
სწავლის შედეგები	**აქვს** ქართულ ენაში საკმარისი ლექსიკური მარაგი და საბაზისო ცოდნა; მორფოლოგიური და სინტაქსური წესების გამოყენებით ქართული ენის ნორმების შესატყვისად კონსტრუქციების აგების უნარი; **იცის** საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევები; **შეუძლია** ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება და კომენტირება; <u>მიღებული ცოდნის</u> პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპოდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის; ქართული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენება.
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგნაირად: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. **უარყოფითი შეფასებებია:** (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. **შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე** სტუდენტს ეძლევა კომბინირებული ტესტი (ღია და დახურული), საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვადასხვა სახის სამუშაო.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: **მაია კიკვაძე,** ასოცირებული პროფესორი ტელ: 577728248; e-mail: maia.kikvadze@bsu.edu.ge